საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/963
03.10.2024

ბრძანება

963-01-4-202410031515

გადაწყვეტილება
შპს „ჯი-თი გრუპის“ (ს/ნ: 200119923) 2024 წლის 20 აგვისტოს საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივნის პოზიცია და საქმის მოკლე შინაარსი

2024 წლის 20 აგვისტოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს “ჯი-თი გრუპის“ (ს/ნ 200119923) (შემდგომში „მომჩივანი“/შპს „ჯი-თი გრუპი“) საჩივარი (რეგ. N01/4241) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში „რუსთავის მერია“/„მოპასუხე“/შემსყიდველი) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საჩივარში მომჩივანი აღნიშნავს, რომ იგი საქართველოში M3 კატეგორიის ავტობუსების ბაზარზე წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს იმპორტიორს. 2019 წლიდან დაახლოებით ერთეული ავტობუსი აქვს მიწოდებული საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

მომჩივნის მითითებით, მოპასუხე რუსთავის მერიამ ჩაატარა ელექტრონული ტენდერი კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევით. კერძოდ, 2024 წლის 12 ივლისს რუსთავის მერიის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT240013816), რომლის ფარგლებშიც მოპასუხეს სურდა შეეძინა 70 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საჭიროებებისთვის. ტენდერით შესასყიდი ობიექტის არსებითი ტექნიკური მოთხოვნები შემსყიდველი ორგანიზაციის - რუსთავის მერიის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგნაირად (რუსთავის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1):

- სატრანსპორტო საშუალების კატეგორია - M3;

- კლასის ტიპი - I კლასი;
- სიგრძე - არანაკლებ 6500მმ - არაუმეტეს 8000 მმ;
- სიგანე - არანაკლებ 2100 მმ - არაუმეტეს 2500 მმ;
- სიმაღლე - არანაკლებ 2800 მმ - არაუმეტეს 3100 მმ (კონდიციონერით);
- მაქსიმალური წონა (დაუტვირთავ მდგომარეობაში) - არაუმეტეს 7000 კგ;
- მგზავრების დასაჯდომი ადგილები (მძღოლის დასაჯდომის გარეშე) - არანაკლებ 14 სავარძელი + 14 ფეხზე მდგომი პირი + 1 შშმ პირის სავარძლისთვის სივრცეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელურები, ღილაკი, რომელიც მოუწოდებს გაჩერებას;
- მგზავრების რაოდენობა სულ (მძღოლის დასაჯდომის გარეშე) - არანაკლებ 29.

როგორც სააგენტოში წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, სატენდერო პირობები შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ იქნა მის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამმა პოტენციურმა მიმწოდებელმა (მათ შორის მომჩივანმა).

ბაზრის კვლევის ეტაპზე რუსთავის მერიას წარედგინა სამი შეთავაზება:

1. ISUZU ბრენდის NOVOCITI LIFE მოდელის ავტობუსი - ერთეულის ფასი 220 000 ევრო;
2. OTOKAR ბრენდის CENTRO DIESEL მოდელის ავტობუსი - ერთეულის ფასი - 112 900 ევრო;
3. OTOKAR ბრენდის CENTRO DIESEL მოდელის ავტობუსი - ერთეულის ფასი - 96 000 ევრო.

მომჩივნის განცხადებით, ბაზრის კვლევისას შემსყიდველის მიერ მიწოდებული ავტობუსის ტექნიკური პარამეტრები სხვადასხვა კატეგორიის ავტობუსების შეთავაზების შესაძლებლობას იძლეოდა, შესაბამისად, მომჩივნის მიერ განხორციელებული შეთავაზება- ISUZU ბრენდის NOVOCITI LIFE მოდელი, ავტობუსების ტიპისა და პარამეტრების გათვალისწინებით, არ უნდა შედარებულიყო სხვა შეთავაზებებთან.

ტენდერი გამოცხადდა 19 850 880 ლარიანი ბიუჯეტით, რაც 12.07.2024 (ტენდერის გამოცახადების დღეს) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ერთეულ ავტობუსზე შეადგენდა 96 000 ევროს. ვინაიდან აღნიშნული ღირებულება 2-3-ჯერ ნაკლებია მომჩივნის მიერ ბაზრის კვლევაში შეთავაზებულ ფასზე, მომჩივანი აცხადებს, რომ ავტომატურად გამოირიცხა მისი მონაწილეობა ტენდერში სატენდერო ფასის კრიტერიუმის გამო.

მომჩივანი აცხადებს, რომ შემსყიდველს ტენდერის საფუძვლად უნდა დაედო ისეთი ბაზრის კვლევა, სადაც მიღებული ექნებოდა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული შეთავაზება. რუსთავის მერიის მიერ ჩატარებულ ბაზრის კვლევაში მონაწილეობდა სამი კომპანია, მათ შორის იყო მომჩივანი, რომლის შეთავაზება შეიზღუდა სატენდერო ფასით, ხოლო დარჩენილი ორი შეთავაზება არის იდენტური - ეხება ერთი და იგივე მწარმოებლის, ბრენდისა და მოდელის ავტობუსს.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ მან საჩივრით (DET240013816_01(NAT)) მიმართა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) და მოითხოვა სატენდერო პირობების ტექნიკური პარამეტრების შეცვლა. საბჭოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „ჯი-თი გრუპის“ საჩივარი[1].

მომჩივანი, ასევე, აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტის მე-3 ნაწილის დანაწესის მიხედვით, „შემოთავაზებული ავტობუსები უნდა იწარმოებოდეს OECD წევრ ქვეყანაში”, რასთან დაკავშირებითაც, საბჭოს მიერ ზემოთ აღნიშნული საჩივრის განხილვის ეტაპზე მოპასუხემ ვერ შეძლო წარმოედგინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბაზრის კვლევის ფარგლებში წარდგენილი ავტობუსის (OTOKAR ბრენდის CENTRO DIESEL მოდელი) გარდა, OECD წევრ ქვეყანაში არსებობს სხვა კონკრეტული მწარმოებელი და მოდელი, რომელიც აკმაყოფილებს სატენდერო მოთხოვნებს. მომჩივნის განცხადებით, აღნიშნული პარამეტრებითა და ფასით სხვა ავტობუსი არ არსებობს OECD წევრ ქვეყანაში.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ რუსთავის მერიის მიერ ტენდერის იმგვარად გამოცხადება, რომ მასში მონაწილეობა მხოლოდ ერთი მწარმოებლის, ბრენდისა და მოდელის ავტობუსით შეიძლებოდა, არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას.

1.2. მოპასუხის პოზიცია

მომჩივნის მიერ წარმოდგენილი საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად სააგენტოს წერილით (N02/3096, თარიღი: 21.08.2024) გადაეგზავნა რუსთავის მერიას.

2024 წლის 4 სექტემბერს რუსთავის მერიამ სააგენტოში[2] წარმოადგინა საკუთარი პოზიცია საჩივართან დაკავშირებით. იგი არ ეთანხმება საჩივარს შემდეგი დასაბუთებით:

რუსთავის მერიამ NAT240013816 ელექტრონული ტენდერის ჩატარებამდე განახორციელა ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც პრეტენდენტებისგან მიღებულ იქნა საფასო ინფორმაცია შემდეგ საქონელზე:

- სიგრძე - არანაკლებ 6600 მმ - არაუმეტეს 8000 მმ;
- სიგანე - არანაკლებ 2100 მმ - არაუმეტეს 2500 მმ;
- სიმაღლე - არანაკლებ 2800 მმ - არაუმეტეს 2900 მმ;
- ძრავი - დიზელი, არანაკლებ ევრო V ემისიის სტანდარტის შესაბამისი;
- მგზავრების ჯამური რაოდენობა - არანაკლებ 30. მათ შორის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 14 დასაჯდომი სავარძელი და 1 ადგილი შშმპ-ს

[1] საჩივარი და მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე, საძიებო სისტემაში: https://tenders.procurement.gov.ge/dispute/ (ბოლო ნახვა 19.09.2024).
[2] რუსთავის მერიის წერილი 2024 წლის 4 სექტემბრის წერილი N01/4480

სავარძლისთვის (ადგილების დეტალური კონფიგურაცია შემსყიდველთან შეთანხმებით);

- გამოშვების წელი - არაუადრეს 2023 წელი;
- საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი.

აღნიშნული პარამეტრების მიხედვით, ბაზრის კვლევის ეტაპზე სამმა პოტენციურმა მიმწოდებელმა წარადგინა შეთავაზება. მათ შორის იყო მომჩივანიც, რომლის მიერ განხორციელებული შეთავაზება შეესაბამებოდა ზემოთ მითითებულ პარამეტრებს. მომჩივნისთვის ცნობილი იყო, ასევე, შესასყიდი საქონლის სავარაუდო ბიუჯეტი.

მოპასუხის მითითებით, მისთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა მომხდარიყო მომჩივნის მიერ შეთავაზებული მოდელის (ISUZU-ს ბრენდის NOVOCITI LIFE მოდელი) შედარება შესაბამის პარამეტრებთან. ბაზრის კვლევის მიზანს სწორედ ის წარმოადგენს, რომ მოხდეს პოტენციური მომწოდებლების მიერ შეთავაზებული მოდელ(ებ)ის ერთმანეთთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან შედარება, შემდგომში მუნიციპალიტეტისთვის საჭირო საქონლის შესაძენად.

რაც შეეხება ფასს, მოპასუხის მითითებით, სატენდერო კომისიამ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნების უზრუნველსაყოფად (კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზანი), ტენდერის გამოცხადებისას სატენდერო ფასის დასადგენად გაითვალისწინა ბაზრის კვლევის ეტაპზე ფასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია[3].

მოპასუხე აღნიშნავს იმასაც, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა გაეკეთებინა სხვადასხვა ავტობუსის შეთავაზება, ვინაიდან თავადვე მიუთითებს, რომ ავტობუსის ტექნიკური პარამეტრები სხვადასხვა კატეგორიის ავტობუსების შეთავაზების შესაძლებლობას იძლეოდა.

რუსთავის მერიის განცხადებით, დღეისთვის არსებობს მინიმუმ სამი პოტენციური მიმწოდებელი, რომელსაც შეუძლია საჭირო პარამეტრების მქონე ორი განსხვავებული მოდელის ავტობუსის მიწოდება. განსხვავებული ღირებულებები გამოწვეულია კომპანიების მიერ მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, ხოლო რეალური საბაზრო ფასი დგინდება სატენდერო პროცედურების განხორციელების შედეგად.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საჭიროებას წარმოადგენდა M3 კატეგორიის ავტობუსები, რომლებსაც ექნებოდა განსაზღვრული მინიმალური ადგილების ოდენობა, რაც კვლევის დროსაც იყო მითითებული.

---

[3] აღსანიშნავია ისიც, რომ შესყიდვას რუსთავის მერია ახორციელებდა საქართველოს მთავრობის მიერ სესხის სახით გადაცემული თანხით, კერძოდ, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის N982 განკარგულებით რუსთავის მერიას 2024-2025 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო სესხი არაუმეტეს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის ოდენობით, ავტოპარკის M2 ან/და M3 კატეგორიის ავტობუსების შესყიდვის მიზნით. აღნიშნული განკარგულება ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე (https://tenders.procurement.gov.ge) NAT240013816 ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაციაშიც).

მოპასუხის თქმით, სატენდერო ტექნიკური პარამეტრები დადგინდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე მგზავრთა ნაკადისა და მარშრუტების გათვალისწინებით, კვლევაში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯერების შედეგად, ხოლო საერთო ღირებულება დადგინდა კვლევის შედეგად პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი უმცირესი ფასის მიხედვით.

მოპასუხე არ ეთანხმება, ასევე, მომჩივნის მოსაზრებას ტექნიკური პარამეტრების ცვლილებასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებს მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას და საჭირო გახდება ხრჯების გაზრდა უფრო მეტი ავტობუსის შესაძენად.

1.3. მომჩივნის მიერ დამატებით წარმოდგენილი პოზიცია

სააგენტოს N02/3284 წერილით (05.09.2024) მოპასუხის წერილობითი პოზიცია გადაეგზავნა მომჩივანს გასაცნობად და მასზე საკუთარი მოსაზრების წარმოსადგენად, რაზეც საპასუხო კორესპონდენცია მომჩივანმა სააგენტოში წარადგინა 2024 წლის 11 სექტემბერს (წერილის რეგ. N01/4630).

მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული ბაზრის კვლევის ეტაპზე განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით შესაძლებელი იყო როგორც მიკროავტობუსის, ასევე, საშუალო ზომის ავტობუსის შეთავაზება. ავტობუსის ფასი დამოკიდებულია მის სიგრძესა და ტევადობაზე და შესაბამისად, ვინაიდან მომჩივნის მიერ შეთავაზებული ავტობუსი იყო მიკროავტობუსზე უფრო დიდი ანუ საშუალო ზომის (Midi ავტობუსი), მის მიერ წარდგენილი ფასიც უფრო მაღალი იყო. შპს „ჯი-თი გრუპის“ მიერ შეთავაზებული ავტობუსის პარამეტრები შეესაბამებოდა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა სატენდერო ფასის, სიგრძის, სიგანის, სიმაღლისა და ტევადობის პარამეტრების გათვალისწინებით კონკურენცია შეიზღუდა ისე, რომ გარდა ერთი კონკრეტული მოდელისა, სხვა არცერთი მიკროავტობუსი არ აკმაყოფილებდა სატენდერო ტექნიკურ პარამეტრებს, ხოლო მომჩივნის მიერ წარდგენილი საშუალო ზომის ავტობუსი შეზღუდული იყო სატენდერო ფასის კრიტერიუმით.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ შემსყიდველმა ფორმალურად განსაზღვრა სატენდერო პირობები კონკრეტული პარამეტრებით, რეალურად კი მისთვის ცნობილი იყო, რომ მხოლოდ ერთი კონკრეტული მწარმოებლის, ბრენდის და მოდელის შეთავაზება დარჩებოდა.

მომჩივანი არ ეთანხმება მოპასუხის განცხადებას, რომ არსებობს სამი პოტენციური მიმწოდებელი, ვინაიდან ამ სამიდან ერთი თავად არის, ხოლო დარჩენილი ორის მიერ წარდგენილი წინადადებები იდენტურია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება

მომჩივანმა კომპანიამ 2024 წლის 5 აგვისტოს DET240013816_01(NAT) საჩივრით მიმართა საბჭოს და მოითხოვა რუსთავის მერიის სატენდერო კომისიის №1 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა და სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, კერძოდ, ავტობუსის სიგრძისა და სიგანის მაჩვენებლების შეცვლა სტანდარტის შესაბამისად, შემდეგნაირად:

- სიგრძე - 5.5 მმ-დან 7.5 მმ-მდე;
- სიგანე - 2050 მმ-დან 2300 მმ-მდე;
- ტევადობა: არანაკლებ 20 (11+1+8).

საბჭომ განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (შპს „ჯი-თი გრუპ“-ის მიერ წარმოდგენილ DET240013816_01(NAT) საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2024 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება).

საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: *„სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი“.* აქედან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, შეუძლია თავად განსაზღვროს მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი და პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია.

საბჭო, ასევე, ყურადღებას ამახვილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგ მიზნებზე: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.

საბჭოში წარდგენილ საჩივარში მითითებულია, რომ ბაზრის კვლევით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნებით არ იკვეთებოდა თუ რა ტიპის ავტობუსი სურდა

შემსყიდველს, მიკრო ავტობუსი თუ საშუალო ზომის „მიდი“ ავტობუსი, ეს ორი კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ღირებულებით. შემსყიდველის მიერ დადგენილი ბიუჯეტის და ტექნიკური პარამეტრების შესწავლის შედეგად, ცალსახაა რომ შესყიდვა ითვალისწინებს არა საშუალო ზომის, არამედ M3 კატეგორიის მინი/მიკრო ავტობუსს და შესაბამისად შემსყიდველს ბაზრის კვლევა უნდა ჩაეტარებინა ამ კატეგორიის ავტობუსებში და არ უნდა მიეღო მხედველობაში ჩვენს (მომჩივნის) მიერ შეთავაზებული მოდელი ISUZU-ს ბრენდის NOVOCITI LIFE.

საბჭო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ DET240013816_01(NAT) საჩივართან დაკავშირებით თავად მომჩივანმა ორგანიზაციამ წარუდგინა საბჭოს რუსთავის მერიასა და შპს „ჯი-თი გრუპ“-ის წარმომადგენლებს შორის ელ.ფოსტის მიმოწერა, რომლის თანახმადაც 2024 წლის 24 ივნისის ელ.ფოსტის შეტყობინებით რუსთავის მუნიციპალიტეტი აკონკრეტებს, რომ „შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 20 000 000.00 (ოცი მილიონი ლარი და 00 თეთრი) ლარს“, ხოლო, შპს „ჯი-თი გრუპ“-ის შეთავაზება კი თარიღდება 2024 წლის 26 ივნისით. იგივე პოზიციას იმეორებს შპს „ჯი-თი გრუპი“ საბჭოში შეტანილ საჩივარზე დამატებით წარდგენილ დოკუმენტში: „გაცნობებთ რომ, ჩვენი კომპანია ასევე გახლავთ ტენდერით მოთხოვნილი M3 კატეგორიის (I კლასი) დიზელის ძრავზე მომუშავე, მიკრო ავტობუსების საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, მაგრამ ბაზრის კვლევის ეტაპზე ჩვენ მიერ არ განხორციელებულა აღნიშნული ავტობუსების შეთავაზება, რადგან არ იკვეთებოდა შესყიდვის ობიექტის ტიპი.“ ***საბჭოს მითითებით, მომჩივანი ერთი მხრივ აცხადებს, რომ არ იკვეთებოდა შესყიდვის ობიექტის ტიპი, ხოლო მეორე მხრივ მიუთითებს, რომ შემსყიდველის ბიუჯეტის და ტექნიკური პარამეტრების შესწავლის შედეგად ცხადი იყო, რომ შესყიდვა ითვალისწინებდა კონკრეტულად მიკრო ავტობუსის შეძენას.*** შესაბამისად, თავად მომჩივანი ორგანიზაციის მიერ მითითებული არგუმენტების საფუძველზე საბჭო არ იზიარებს პოზიციას, რომ მიმწოდებლებს არ ჰქონდათ საშუალება დაედგინათ თუ რა ტიპის ავტობუსი სურდა შემსყიდველს, მიკრო ავტობუსი თუ საშუალო ზომის „Midi“ ავტობუსი.

აღნიშნულ საჩივარში ასევე, მითითებულია, რომ Otokar Centro-ს გარდა, ამ ტიპის ავტობუსის (დაბალიატაკიანი, M3 კატეგორიის, დიზელის ძრავზე მომუშავე, OECD ქვეყნებში წარმოებული მიკრო ავტობუსი) ბაზარზე არსებობს მხოლოდ ერთადერთი მოდელი, რომლის წარმომადგენელი ასევე გახლავთ ჩვენი კომპანია და რომლის შეთავაზებაც ბაზრის კვლევის ეტაპზე არ მოხდა. ამ უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირებით საბჭო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მომჩივანი ორგანიზაცია მიკრო ავტობუსებთან დაკავშირებით არსად აღნიშნავს, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა NAT240013816 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

საბჭო გადაწყვეტილებაში, ასევე, მიუთითებს, რომ *მომჩივანი ორგანიზაცია ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების დისკრიმინაციულ ხასიათს და საბჭო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, რომ სადავო ტენდერის პირობები შეიცვალოს იმგვარად, რომ ხსენებულმა ცვლილებებმა გამოიწვიოს NAT240013816 ელექტრონული ტენდერის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ზრდა, რადგან სხვა მიზნებთან ერთად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.*

საბჭო, ასევე, მიუთითებს შემსყიდველის მიერ საჩივრის განხილვისას წარდგენილ პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც ავტობუსების შესყიდვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მომსახურება იყოს თვითმყოფადი და საჭირო არ იყოს სუბსიდირება. აღნიშნული წარმოადგენს შესყიდვისთვის გამოყოფილი სესხის გამოყენების პირობას, ისევე, როგორც საკრებულოს მოთხოვნას. გარდა ამისა, შემსყიდველი ავტობუსების პარამეტრებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ შემცირებული პარამეტრების მქონე ავტობუსი ვერ დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტში არებულ მოთხოვნას და „არანაკლებ 29 მგზავრი არის სწორედ ის მინიმალური პირობა, რომელიც აუცილებელია შესყიდვის მიზნის მისაღწევად".

საბჭოს გადაწყვეტილებით, რომ DET240013816_01(NAT) საჩივრის ფარგლებში არსებული არგუმენტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად ვერ დასტურდება NAT240013816 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების კანონმდებლობასთან შეუსაბამობა.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე".

კანონის 1-ელი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და

კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება:

„ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

2.1.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს

კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების (შემდგომში - „პროცედურა“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და **პროცედურის მე-13 მუხლში.**

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.2. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა

ეროვნულ დონეზე სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. ამასთან, აღსანიშნავია, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში (მათ შორის გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას) შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება, უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია, გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკურენციის, აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობიდანაც.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფას, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ტენდერის ჩატარებასთან, ასევე მისი ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაცია და მონიტორინგი რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

3. სააგენტოს შეფასება

3.1. ზოგადი მიმოხილვა

სააგენტო აღნიშნავს, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად:

1) თავდაპირველად, მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით;

2) შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო უფლებამოსილი არ არის განიხილოს საკითხი, ამ საკითხის შინაარსობრივი ანალიზი აღარ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე.

მომჩივნის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში საუბარია კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შესაძლო დარღვევაზე. კერძოდ, შპს „ჯი-თი გრუპი“ მიუთითებს, რომ რუსთავის მერიამ NAT240013816 ელექტრონულ ტენდერში სატენდერო მოთხოვნების ტექნიკური პარამეტრები იმგვარად განსაზღვრა, რომ ისინი მორგებული იყო და მისი დაკმაყოფილება შეეძლო მხოლოდ ერთი კონკრეტული მწარმოებლის, ბრენდის მოდელს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე - რუსთავის მერიის ქმედება და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასება უნდა მოხდეს გონივრული ეჭვის სტანდარტიდან გამომდინარე, სწორედ კანონის მე-10 მუხლთან მიმართებით.

3.2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ჯი-თი გრუპი“ სააგენტოში წარდგენილ საჩივარში მიუთითებს რუსთავის მერიის მიერ კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევაზე. კერძოდ, მომჩივნის განცხადებით, რუსთავის მერიამ ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად სატენდერო მოთხოვნები დაადგინა იმგვარად, რომ მისი დაკმაყოფილება მხოლოდ ერთი კონკრეტული მწარმოებლის, ბრენდის მოდელს შეძლებოდა.

სააგენტო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე [...] მხოლოდ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციისადმი ხელშეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას“[4].

კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტოს მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა. გარდა ამისა, იგი, ასევე, ემსახურება ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას და ა.შ.

სწორედ ზემოთ ხსენებულ მიზნებთან შესაბამისობაში უნდა მოხდეს კანონის მე-10 მუხლის შეფასება, ვინაიდან ეს მუხლი პირდაპირ არის მიმართული სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და მხოლოდ აქ არის თავმოყრილი ამ ორგანოებისათვის აკრძალულ ქმედებათა ფართო სპექტრი. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის შეფერხებად უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს უქმნის კონკრეტულ შესაბამის ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ ან/და დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ა.შ. ამდენად, სააგენტო, თითოეული საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე აფასებს, შესაძლოა თუ არა, ადგილი ჰქონდეს ამ მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე შემადგენლობის არსებობის სავარაუდო ნიშნებს და ისე იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხზე მოკვლევის დაწყების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოთხოვნები, რომელთაც განსაზღვრავს სატენდერო კომისია, უნდა გამომდინარეობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, უნდა იყოს

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/411, 19.12.2008, პარ. 3 და 5.

პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებასა და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დადგენილია შემსყიდველის ფართო დისკრეცია, თავად განსაზღვროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის. თუმცა, ამასთან, აღნიშნული მუხლი შემსყიდველს უდგენს როგორც სამართლიანი და არადისკრიმინაციული მოთხოვნების შემუშავების, ასევე, საკუთარი სატენდერო პირობებით ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრების ვალდებულებას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოქმედების სფეროები ერთმანეთთან იკვეთება სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის კანონმდებლობით დაკისრებული იმ ვალდებულების ნაწილში, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის დაცვასა და განვითარებას მოიაზრებს.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში კანონის მე-10 მუხლის განსაზღვრული დარღვევის დადგენისთვის, განსახილველია რიგი საკითხები, კერძოდ:

1. წარმოადგენს თუ არა მოპასუხე - რუსთავის მერია კანონის მე-10 მუხლის სუბიექტს;
2. სახეზეა თუ არა რუსთავის მერიის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი მოპასუხის მხრიდან კანონდარღვევის განხორციელების თაობაზე.

3.3. რუსთავის მერია, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის და სხვა ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად ყოფნის შერაცხვის საკითხი.

მიუხედავად ამისა, სააგენტო ხაზს უსვამს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი

თანამდებობის პირი არის მერი, ხოლო 50-ე მუხლის მიხედვით, მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი.

რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულ NAT240013816 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შემსყიდველის სახით გამოდის რუსთავის მერია, რომელიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილების განხორციელებას, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და შესაბამისად კანონის მე-10 მუხლის ადრესატს.

ამდენად, რუსთავის მერია, როგორც მუნიციპალიტეტის ორგანო, ექცევა კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ „მუნიციპალიტეტის ორგანოს“ ცნებაში და წარმოადგენს მის სპეციალურ სუბიექტს.

3.4. გონივრული ეჭვის სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების საფუძველი.

კონკრეტულ საკითხზე მოკვლევის დაწყება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაცია/დოკუმენტები აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე, როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ან სხვა სუბიექტებისგან მიღებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საქმისათვის გამოსადეგი იყოს და გადაწყვეტილება დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ მიიღება სააგენტოში მოგროვებული ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი (actori incumbit probatio). მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მას ეკისრება საჩივრის დასაბუთებულობის ვალდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავად

მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, და ა.შ. იგი ატარებს, ასევე, დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.

ვინაიდან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არ არის განმარტებული გონივრული ეჭვი, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღებას აქცევს ევროკომისიის პრაქტიკასა და ანალოგიური ტერმინის ევროპულ განმარტებას.

ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივნის ფორმალურ სტატუსს. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ევროკომისიას აქვს მოკვლევის დაწყების შესახებ დისკრეცია.

საქართველოს კანონმდებლობა სააგენტოს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ საჩივარზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და, შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონკურენციის კანონმდებლობა სააგენტოს ანიჭებს კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას. ეს კი გულისხმობს, საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, გონივრული ეჭვის სტანდარტის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებას მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე. საჩივარში აღწერილი გარემოებები გაანალიზებულია სწორედ ზემოთ აღნიშნული პირობების ჭრილში.

როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციის სამართლის მიზანი არის კონკურენციის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს კონკურენციის, როგორც პროცესის დაცვას და არ არის მიმართული რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის უპირატესობის მინიჭებისაკენ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ბარიერების დაწესებისგან. ხსენებული უფლება, ასევე, იცავს ეკონომიკურ აგენტებს მათ საქმიანობაში სახელმწიფოს დაუსაბუთებელი ჩარევისაგან, მათ შორის, შერჩევითი საფუძვლით რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭებისაგან[5].

კანონის მე-10 მუხლი, კანონის მიზნის, კერძოდ, კონკურენციის პროცესის დაცვას უზრუნველყოფს იმ თვალსაზრისით, რომ კრძალავს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოების მიერ, საჯარო უფლებამოსილების გამოყენების გზით, რაიმე სახის ბარიერის შექმნას ან რაიმე სახის შერჩევითი უპირატესობის მინიჭებას რომელიმე ეკონომიკური აგენტისთვის. ხსენებული მუხლის ყველა სპეციალური შემადგენლობა სწორედ ამ ძირითადი მიზნის დაცვას ემსახურება და ცდილობს

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/11/747, 14.12.2018, პარ. 3 და 7.

უზრუნველყოს კონკურენციის სამართლიანი პროცესი, როგორც ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს ჯანსაღ გარემოში გაუწიონ პაექრობა, ხოლო ამ პაექრობის შედეგი დამოკიდებული იყოს ობიექტურ გარემოებებზე და არა კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს სუბიექტურ მიდგომაზე. ამდენად, სწორედ ეს პრინციპები უნდა იყოს გათვალისწინებული სააგენტოს მიერ, რათა შეფასდეს, არის თუ არა გონივრული ეჭვი კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

მომჩივნის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი საჩივარი (N01/4241) შეეხება რუსთავის მერიის მიერ მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევას. ამ შემთხვევაში კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევას შესაძლოა წარმოადგენდეს NAT240013816 ელექტრონულ ტენდერში სატენდერო მოთხოვნების ტექნიკური პარამეტრების იმგვარად განსაზღვრა, რომ იგი მორგებული იყოს და მისი დაკმაყოფილება შეეძლოს მხოლოდ ერთი კონკრეტული მწარმოებლის, ბრენდის მოდელს.

პირველ რიგში, სააგენტო განმარტავს, რომ სხვა აღმასრულებელი უწყების/ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის (მათ შორის, ტენდერში დისკვალიფიკაციის მინიჭების მართლზომიერება) განხილვა და გადაწყვეტა, სააგენტოს კომპეტენციას არ განეკუთვნება, თუ ეს არ გულისხმობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის რომელიმე მუხლის დარღვევას. შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში, სააგენტო განიხილავს და აფასებს სატენდერო მოთხოვნების შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ასევე, შესყიდვის ობიექტის გათვალისწინებით, სააგენტო შეაფასებს პრეტენდენტების/პოტენციური სუბიექტების ტენდერში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. აღნიშნულის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება დადგინდეს, წარმოიშობა თუ არა კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვი.

სააგენტომ განიხილა საჩივარში და მის დანართებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე, მოპასუხის პოზიცია და აღნიშნულ პოზიციასთან დაკავშირებით მომჩივნის მოსაზრება, ასევე, საჩივარში მითითებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტაცია.

2024 წლის 12 ივლისს რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერით შესასყიდი ობიექტის არსებითი ტექნიკური მოთხოვნები მოპასუხის მიერ განსაზღვრულ იქნა შემდეგნაირად:

- სატრანსპორტო საშუალების კატეგორია - M3;
- კლასის ტიპი - I კლასი;
- სიგრძე - არანაკლებ 6500მმ - არაუმეტეს 8000 მმ;
- სიგანე - არანაკლებ 2100 მმ - არაუმეტეს 2500 მმ;
- სიმაღლე - არანაკლებ 2800 მმ - არაუმეტეს 3100 მმ (კონდიციონერით);

- მაქსიმალური წონა (დაუტვირთავ მდგომარეობაში) - არაუმეტეს 7000 კგ;
- მგზავრების დასაჯდომი ადგილები (მძღოლის დასაჯდომის გარეშე) - არანაკლებ 14 სავარძელი + 14 ფეხზე მდგომი პირი + 1 შშმ პირის სავარძლისთვის სივრცეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელურები, ღილაკი, რომელიც მოუწოდებს გაჩერებას;
- მგზავრების რაოდენობა სულ (მძღოლის დასაჯდომის გარეშე) - არანაკლებ 29.

სააგენტოში საჩივრის დასაშვებობის განხილვის ეტაპზე დადგინდა, რომ ვინაიდან სატენდერო პირობები დადგენილ იქნა ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით, სადაც მონაწილეობა სამმა პოტენციურმა მიმწოდებელმა მიიღო. საბჭოს მიერ DET240013816_01(NAT) საჩივრის განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ მომჩივნისთვის ინფორმაცია იმის თაობაზე, რა სახის ობიექტის შესყიდვა სურდა რუსთავის მერიას, ცხადი იყო. შესასაბამისად, ბაზრის კვლევის ეტაპზე მან ინფორმაციის ფლობის გათვალისწინებით წარადგინა საკუთარი შეთავაზება, რაც საბოლოო ჯამში რუსთავის მერიის მიერ ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზში იქნა გათვალისწინებული.

ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნები, როგორიცაა, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომის, თანასწორი მოპყრობისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა[6]. ამავე დოკუმენტით, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, ბაზრის კვლევისას, სხვადასხვა მეთოდებს შორის, გამოიყენონ არანაკლებ ორ პოტენციურ მიმწოდებელთან კომუნიკაციის მეთოდი და მათგან გამოითხოვონ საჭირო დოკუმენტაცია[7]. აღნიშნული რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული ბაზრის კვლევის ეტაპზე რუსთავის მერიის მიერაც, რომელმაც მათ შორის საფასო ინფორმაციის მიღების მიზნით, მიმართა პოტენციურ მიმწოდებლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივნის ძირითადი პრეტენზია შეეხებოდა მოპასუხე რუსთავის მერიის მიერ სატენდერო პირობებში შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მახასიათებლებს/კრიტერიუმებს, (რომლის მოდიფიცირების მოთხოვნითაც მომჩივანმა მიმართა დავების საბჭოს), თუმცაღა, როგორც საჩივრის განხილვის ეტაპზე გამოიკვეთა, მოპასუხის მიერ დაწესებული სატენდერო პირობები ობიექტურად გამართლებული

[6] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით (ხელმისაწვდომია - https://procurement.gov.ge/files/showfiles?id=c6020a83-5e74-4c35-bd62-cabba2cba7e6 (ბოლო ნახვა 19.09.2024)), გვ.3.
[7] იქვე, გვ. 4.

პირობებია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების (მუნიციპალიტეტში არსებული მგზავრთა ნაკადი) გათვალისწინებით, კერძოდ, რუსთავის მერიას, როგორც შემსყიდველ ორგანიზაციას, გააჩნია დისკრეცია შესყიდვის კანონმდებლობის ფარგლებში და მიზნებიდან გამომდინარე დაადგინოს ისეთი მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს მისი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამასთან, რუსთავის მერიის მიერ ავტობუსების შესყიდვის განხორციელება უნდა მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან რუსთავის მერიისთვის გადაცემული სესხით, რომლის მიზნობრიობაც სესხის გადაცემის შესახე განკარგულებითვე იყო განსაზღვრული. კერძოდ, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის N982 განკარგულებით რუსთავის მერიას 2024-2025 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო სესხი არაუმეტეს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის ოდენობით, ავტოპარკის M2 ან/და M3 კატეგორიის ავტობუსების შესყიდვის მიზნით. შესაბამისად, რუსთავის მერია უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდა M3 კატეგორიის ავტობუსების შესყიდვას შესაბამისი ტექნიკური კრიტერიუმების მითითებით.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ NAT240013816 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები დისკრიმინაციულია და მათ მხოლოდ Otokar Centro აკმაყოფილებს, ვერც დავების საბჭოში საჩივრის განხილვის დროს და ვერც სააგენტოში საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე ვერ დასტურდება, რამეთუ, მომჩივანისვე განმარტებით,[8] Otokar Centro-ს გარდა, ამ ტიპის ავტობუსის (დაბალიატაკიანი, M3 კატეგორიის, დიზელის ძრავზე მომუშავე, OECD ქვეყნებში წარმოებული მიკრო ავტობუსი) მხოლოდ ერთადერთი მოდელი არსებობს ბაზარზე, რომლის წარმომადგენელი ასევე არის მომჩივანი კომპანია და რომლის შეთავაზებაც ბაზრის კვლევის ეტაპზე არ მომხდარა. აქვე მნიშვნელოვანია, რომ მომჩივანი ორგანიზაცია ამ უკანასკნელ საქონელთან დაკავშირებით არ აღნიშნავს, რომ ის რომელიმე ნაწილში (მათ შორის ღირებულების ნაწილში) ის ვერ აკმაყოფილებს NAT240013816 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. შესაბამისად, მომჩივანს შესაძლებლობა ჰქონდა, მის მიერ შეთავაზებული მოდელის ISUZU-ს ბრენდის NOVOCITI LIFE-ს გარდა, რომელიც ჯდებოდა სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებში, შეეთავაზებინა სხვა მოდელიც, რომელიც ასევე შეესაბამებოდა ტექნიკურ მოთხოვნებს.

---

[8] შპს „ჯი-თი გრუპ“-ის მიერ წარმოდგენილ DET240013816_01(NAT) საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება, 2024 წლის 14 აგვისტო, გვ. 3-4, ხელმისაწვდომია:https://tenders.procurement.gov.ge/dispute/engine/document.php?code=http://nbs.napr.gov.ge/nbs/v3/blobs/spa/44a2698250a98c4ada953ff91a0b6792-53de05d4-adb4-43bd-93a9-d30cccfd5f9e&mime=application/pdf&save=DET240013816_01(NAT)%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf (ბოლო ნახვა: 19.09.2024)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება სატენდერო პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით, არ უგულებელყოფს კანონის მე-10 მუხლით დადგენილ აკრძალვებს. კერძოდ, არ დგინდება რუსთავის მერიის მიერ სატენდერო პირობების ჩამოყალიბებით კონკრეტული ეკონომიკური აგენტისთვის შეღავათის დაწესება (კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ვინაიდან მოპასუხის მიერ სატენდერო მოთხოვნების ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა განხორციელდა მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე, რუსთავის მერიისთვის გადაცემული სესხის მიზნობრიობის დაცვით და ხსენებული ტექნიკური პარამეტრები არ გაცდენილა შემსყიდველის საჭიროებებსა და სესხის მიზნობრიობის ფარგლებს. შესაბამისად, საჩივარი მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის ნაწილში ვერ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არ წარმოიშობა გონივრული ეჭვი, ასევე, კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ნაწილში, ვინაიდან რუსთავის მერიის მიერ სატენდერო მოთხოვნები დადგენილია შესაბამისი ლეგიტიმური საფუძვლების გათვალისწინებით, რაც გამორიცხავს რომელიმე ეკონომიკური აგენტისთვის გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესებას და მის საქმიანობაში ხელშეშლას.

სააგენტოს შეფასებით, კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი იარსებებდა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ადგილი ექნებოდა კონკურენციის შეზღუდვის ფაქტს. კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა შესაძლოა, ასევე, სახეზე ყოფილიყო იმ შემთხვევაშიც, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი პირობები იქნებოდა დისკრიმინაციული, უპირატესობას მიანიჭებდა ან მორგებული იქნებოდა რომელიმე პრეტენდენტზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი ელემენტების არსებობა არ დასტურდება და, ამ ეტაპისთვის მის ხელთარსებული ინფორმაციის საფუძველზე, საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს “ჯი-თი გრუპის“ (ს/ნ: 200119923) 2024 წლის 20 აგვისტოს N01/4241 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მხარეებს:

3.1. მომჩივან ეკონომიკურ აგენტს - შპს “ჯი-თი გრუპს“ (ს/ნ 200119923);

3.2. მოპასუხეს - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე